საქართველო
GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
საქართველოს

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 3198/01
31/03/2021

3198-01-2-202103311733

შპს „ბუნებას“ დირექტორს,
ბატონ ილია დემურიას

მის: თბილისი, ვაკის რაიონი, დარიალის ქუჩა, N 19, ბინა 12
ელ.ფოსტა: idemuriya@gmail.com

ბატონო ილია,

თქვენი 2021 წლის 5 მარტის N3902 განცხადების პასუხად, რომელიც ეხება სენაკის რაიონში, სოფ. ზანას ტერიტორიაზე შპს „ბუნებას“ სამელიორაციო სისტემის მოწყობასა და ექსპლუატაციას, გაცნობებთ, რომ სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილი არ არის და დაზუსტებას საჭიროებს საქმიანობასთან დაკავშირებული შემდეგი საკითხები:

- ინფორმაცია მდ. ხობისწყლის ჰიდროლოგიური მახასიათებლების შესახებ. მათ შორის: მდ. ხობისწყლის საშუალო მრავალწლიური წყლის ხარჯი და მისი შიდაწლიური განაწილება (მათ შორის წყალაღების წერტილზე), აგრეთვე წყალაღების კვეთში კალაპოტის მოსალოდნელი ზოგადი და მაქსიმალური წარეცხვის სიღრმეები;
- ინფორმაცია მორწყვის ჯერადობის შესახებ;
- სკრინინგის განცხადებაში არ არის განხილული ინფორმაცია მდინარე ხობისწყალზე სხვა წყალმომხმარებლების შესახებ;
- წყლის სატუმბი სადგურის ტექნიკური პარამეტრები, სამელიორაციო სისტემის მოსაწყობად გამოსაყენებელი მილსადენების გაყვანის სქემა და სიგრძე.

სამინისტრო კანონმდებლობის შესაბამისად სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს აღნიშნული შენიშვნების გათვალისწინებით დაზუსტებული სკრინინგის განცხადების წარმოდგენის შემდგომ.

პატივისცემით,

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის მოადგილე